სსრ კავშირის თასზე

17 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1989-1990 წლების საფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპის საპასუხო შეხვედრები.

„დინამო“ (თბილისი) – „ნოვბახორი“ (ნაშანგანი) 2:0

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 17 ივლისი.

„დინამო“: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (არველაძე, 40), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (არზიანი, 64), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (ფანცულაია, ...).

„ნოვბახორი“: სტრახოვი, ივანოვი, ბელოვი, ალიბაევი, პოპოვი, ...ლიაკოვი, ბაირამოვი, კუდინოვი, მირგალიჩოვი, გრიდიუშკო, შუშლიაკოვი.

მსაჯი ბ. იარიგინი (ვოლგოგრადი).

გააფრთხილეს შუშლიაკოვი.

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 49-ე გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ საკმაოდ იოლი მეტოქე არგუნა წილისყრამ. ნამანგანის „ნოვბახორი“ II ლიგის ზონაში გამოდის და ცხრილის შუაგულში იმყოფება, თანაც ამ გუნდს ორივე შეხვედრის ჩატარება „დინამოს“ მინდორზე მოუწია. ცხადია, მას გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მან პირველი მატჩი წააგო დიდი ანგარიშით: 0:5.

„განაღდებულ საქმეზე“ დინამოელებმა საკუთარ თავს უფლება მისცეს ადრე ტრავმირებული და გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ფეხბურთელები გამოეყვანათ და დამშვიდებულ ვითარებაში მოესინჯა მათი ძალები. ამიტომაც თასის ორივე ოფიციალური შეხვედრა თბილისელ ფეხბურთელთათვის თავისებურ საწვრთნელ ციკლად იქცა, რომლის დროსაც გუნდს საბოლოო შედეგი ისე არ ადარდებდა, როგორც ახალი შემადგენლობის სათამაშო პრაქტიკის მიღება.

პირველ ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა, მეტოქეები ნელ ტემპში, აუჩქარებლად თამაშობდნენ. შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ, დინამოელთა საერთო უპირატესობა დამთავრდა ფანცულაიასი (65 წუთი) და კაჭარავას (81 წუთი) მიერ გატანილი ორი უპასუხო გოლით. დინამოელებს ახლა მერვედფინალი ელით.

“ლელო” 19 ივლისი, 1989 წ.